ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 197

ქალაქი ქუთაისი 26 ივნისი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №49ა-ს მიმდებარედ (ს/კ №03.01.23.710), სსიპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი მიწის ნაკვეთში, მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმის დამტკიცების შ ე ს ა ხ ე ბ

„ტექნიკური რეგლამენტის – დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების ძირითადი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის №59 დადგენილების 23-ე მუხლის პირველი პუნქტის, „ბ“ ქვეპუნქტის, მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“ 141-ე მუხლის მე-16 პუნქტის საფუძველზე:

მუხლი 1. დამტკიცდეს ქალაქ ქუთაისში, ავტომშენებლის ქუჩა №49ა-ს მიმდებარედ (ს/კ №03.01.23.710), სსიპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი მიწის ნაკვეთში, მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა.

(სსიპ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კუთვნილი მიწის ნაკვეთში, მწვანე ნარჩენების კომპოსტირების ცენტრის (საწარმოს) მშენებლობისათვის განაშენიანების რეგულირების გეგმა განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა №11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 3. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,
საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის
შემსრულებელი ირაკლი შენგელია